

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №364

2015 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

**„საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სასაზღვრო კონტროლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის №740 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სასაზღვრო კონტროლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის №740 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 30/12/2014, 360160000.10.003.018360) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სასაზღვრო კონტროლის წესის“ მე-4 მუხლის:

1. პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) საქონლის ლაბორატორიული ანალიზით.“.

2. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქონლის ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღების სიხშირე განისაზღვრება რისკის შეფასების საფუძველზე და მტკიცდება შემოსავლების სამსახურის ბრძანებით.“.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

